

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო,

წარმოგიდგენთ გასული 9 თვის განმავლობაში მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მერიის სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ და წარმართავენ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, სოციალურ-კულტურული, ტურიზმის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ინფრასტრუქტურის და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

ადმინისტრაცია

მოქალაქეთა მომსახურებასა და საქმისწარმოებას მერია ახორციელებს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს - MSDA.GOV.GE - ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

საიტზე ფუნქციონირებს მუნიციპალური სერვისების მოქალაქეთა პორტალი, სადაც, ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტების ჭრილში არსებული ელექტრონული სერვისებია თავმოყრილი.

- ▶ აპლიკაციაში სრულ ფუნქციონალზე წვდომისთვის **სავალდებულოა** გაიაროთ რეგისტრაცია ან ავტორიზაცია.
- ▶ საიტზე <https://ms.gov.ge>, მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სასურველი მუნიციპალიტეტი, გაეცნოს ელექტრონულ სერვისებს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ოფიციალური ვებ-გვერდიდან (<https://ms.gov.ge/home/dashboard>).

მუნიციპალური სერვისების მოქალაქეთა პორტალის შესახებ იხილეთ ინფორმაცია:

- ▶ <https://ms.gov.ge/home/dashboard> - მთავარი გვერდი;
- ▶ <https://letters.ms.gov.ge/home> - ონლაინ განცხადებები;
- ▶ <https://idea.municipal.gov.ge/home> - შენი იდეა ქალაქის მერს; (ჩაერთე რეგიონის განვითარებაში, მიმართე იდეით მერს)
- ▶ <https://letters.ms.gov.ge/terms> - საიტის მოხმარების წესები და პირობები (ინსტრუქცია).

- ▶ აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეული ასევე ჩართულია მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო MSDA.GOV.GE-ის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამაში, რაც მოქალაქეებისთვის ქმნის შესაძლებლობას ადგილზე მიიღონ ყველა მომსახურება. საანგარიშო პერიოდში **ადმინისტრაციულ ერთეულებში სულ 2 185** განცხადებაა რეგისტრირებული.
- ▶ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მართვის საბჭოში.
- ▶ მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებია: **ნუკრიანი, ბოდბე და მაღარო**. საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მიზანია მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.“
- ▶ საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა **62 მოქალაქეს**.
- ▶ საანგარიშო პერიოდში საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში შემოსულია **6 720** კორესპონდენცია, გასულია - **3 515**. რეგისტრირებულია შიდა სამსახურებრივი კორესპონდენცია - **4 503**, ბრძანება - **1 649** (სულ **16 387** დოკუმენტი).

ადმინისტრაციული ერთეულები

- ▶ თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მერს ჰყავს წარმომადგენელი და სპეციალისტი. ისინი მოქალაქეებს ემსახურებიან მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში. აქტიურად თანამშრომლობენ მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა უწყებებთან. მუდმივ კოორდინაციაში არიან მერთან, მათი დროული და კომპეტენტური მუშაობის შედეგად მერია ახდენს დროულ რეაგირებას სხვადასხვა საკითხზე.
- ▶ კანონის ფარგლებში, ისინი აწესრიგებენ და მართავენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებს მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

„ქალთა ოთახი“

მერის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში უზრუნველყოფს მერიაში არსებული „ქალთა ოთახის“ სერვისების ფუნქციონირებას. ინდივიდუალურ საინფორმაციო-ტექნიკურ დახმარებას უწევს როგორც მოქალაქეებს, ასევე ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს სხვადასხვა საკითხებში.

გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი მერის ბრძანების საფუძველზე ჩართულია მერიაში არსებული სამუშაო ჯგუფებისა და საბჭოების საქმიანობებში, რომლებიც მუნიციპალური სტრატეგიებისა და პროგრამების შექმნას და განხორციელებას ემსახურება. ესენია:

- ▶ გენდერული თანასწორობის საბჭო;
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკონსულტაციო საბჭო;
- ▶ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო;
- ▶ სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- ▶ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მონაწილეობითი წესით შემუშავების მექანიზმის სამუშაო ჯგუფი;
- ▶ მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამი ზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სა მუშაო ჯგუფი;
- ▶ მიმდინარე წელს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა სახელმწიფო საგრანტო პროექტ „აწარმოე საქართველოში“ ჩართო სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 11 მოქალაქე. მისგან მიღებული დახმარების საფუძველზე გრანტი- 12 000 ლარის ოდენობით მოიპოვა ერთმა მოქალაქემ ტყავის ნივთების სახელოსნოს მოსაწყობად.
- ▶ გარდა ამისა „ქალთა ოთახის“ სერვისის დახმარებით მოხდა 5 ადამიანის ჩართვა მედია ცენტრი კახეთის MCK (Media Center Kakheti) მიერ გამოცხადებულ და ევროკავშირისგან დაფინანსებულ ორკომპონენტთან პროექტიში, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული ნიშნით ძალადობისა და/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების პროფესიულ გადამზადებას და მცირე გრანტის მეშვეობით მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- ▶ საზოგადოებასთან ურთიერთობა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ეს მერიას ეხმარება შეინარჩუნოს მუდმივი კავშირი მათთან და იყოს საზოგადოებრივი აზრის საქმის კურსში. ორმხრივი ურთიერთობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის გამართული მუშაობისთვის: მიზნებისა და ამოცანების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- ▶ მუნიციპალიტეტში მიმდინარე თუ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის საკონსულტაციო კრებები, მოსახლეობასთან შეხვედრები, კულტურული თუ სოციალური აქტივობები განყოფილების მიერ მუშავდება და ქვეყნდება სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე (სიღნაღის მუნიციპალიტეტი/facebook), საიტზე (www.signage.gov.ge) და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში.

ადამიანური რესურსების მართვა

- ▶ 2023 წელს მერიაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, შეივსო **3 ვაკანტური** ადგილი შემდეგ პოზიციებზე: ზედამხედველობის განყოფილების უფროსი; შესყიდვების განყოფილების უფროსი; ტურიზმის, საგარეო ურთიერთობისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი.
- ▶ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა მიეცათ და შიდა კონკურსით დაწინაურდა **4 საჯარო** მოხელე შემდეგ პოზიციებზე: იურიდიული სამსახურის უფროსი; ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების უფროსი; სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი; ზედამხედველობის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ზედამხედველობის საკითხებში.

ინფრასტრუქტურა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ობიექტების შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე კონტროლს, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობასა და სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაფინანსებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ან მიმდინარეობს **27 539 400** ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით სულ განხორციელდა **130 867** ლარის სამუშაოები

1. ქალაქ წნორში N 2 ბაღის ელექტრო სისტემების რეაბილიტაცია **53 105** ლარი;
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ შემოსასვლელში ქიზიყის კარიბჭეზე სადროშე ანძის მოწყობის სამუშაოები **77 762** ლარი.

2023 წელს რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს **16 027 633** ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

ქალაქი სიღნაღი:

1. წმ. გიორგის ქუჩის საყრდენი კედლების და ს/გზის რეაბილიტაცია 2615 მ²-ზე 427 030 ლარი.
2. ფიროსმანის ქუჩის საყრდენი კედლების და ს/გზის რეაბილიტაცია 3865 მ²-ზე, 474 009 ლარი .
3. ხელოვნურსაფარიანი მინი-სპორტული მოედნის მოწყობა 1400 მ²-ზე, 460 012 ლარი.

ქალაქი წნორი:

1. სიხაშვილის ქუჩისა და ჩიხების ს/გზის რეაბილიტაცია 28 715 მ²-ზე, 2 047 995 ლარი.
2. რუსთაველის ქუჩის და ჩიხების ს/გზის რეაბილიტაცია 40 369 მ²-ზე, 3 044 950 ლარი.

სოფელი ანაგა:

1. მთავარანგელოზის ს/გზის რეაბილიტაცია 7 966 მ²-ზე, 949 778 ლარი.

სოფელი ვაქირი:

1. ჯანაანთ უბნის (ხუთმილიდან ნათლისმცემლამდე) ს/გზის რეაბილიტაცია 3406 მ²-ზე 611 133 ლარი,
2. "დავითაანების" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 8 087 მ²-ზე, 981 210 ლარი.

სოფელი მაშნარი:

1. ახალი სკოლის უბანში სანიაღვრე კიუვეტების მოწყობა 504 მ.-ზე, 109 489 ლარი.

სოფელი ბოდბისხევი:

1. "ფათალიანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 12 210 მ²-ზე, 1 419 757 ლარი.

სოფელი ჯუგანნი:

1. ჩუმაკოანთ უბანში ს/გზის რეაბილიტაცია 4 592 მ²-ზე, 444 734 ლარი,
2. სოფ. ჯუგანში საბავშვო ბაღის ს/გზის რეაბილიტაცია 3 776 მ²-ზე, 256 628 ლარი.

სოფელი ტიბაანი:

1. პრასიანის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 23 005 მ²-ზე, 2 810 010 ლარი.

სოფელი ქვემო მაჩხაანი:

1. სასაფლაოს ს/გზის რეაბილიტაცია 2 202 მ²-ზე, 227 970 ლარი.

სოფელი ქვემო მალარო:

1. შრომის წყლის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 5 593 მ²-ზე, 656 884 ლარი,
2. ლერი მირაშვილის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია 3973 მ²-ზე, 551 200 ლარი,
3. ჟანგირას უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 1 176 მ²-ზე, 146 676 ლარი.

სოფელი ქვემო ბოდბე:

1. პოლიკაანთ უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 4461 მ²-ზე, 508 068 ლარი;
2. მინდვრის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა 435 395 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 2023 წელს სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს 2 653 390 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები მათ შორის:

სოფელი ნუკრიანი:

1. სოფ. ნუკრიანში სპორტული დარბაზის მშენებლობა 445 837 ლარი,
2. „ჭოტორის“ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 928 მ²-ზე, 1 021 541 ლარი,
3. (კალოები) ე.წ. "ბასკოლიანთ" და "ფორიანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 8 966 მ²-ზე, 1 186 012 ლარი.

მსოფლიო ბანკის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს სოფ. ზემო ბოდბეში ცენტრალური ს/გზის, ბოხორის და ინტერნატის უბნის ს/გზის, ქვემო და ზემო ბოდბის დამაკავშირებელი ს/გზის, ქვ. ბოდბეში გონთხევის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 66 641 მ² -ზე, ღირებულებით 7 999 000 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფონდების და პროექტების საშუალებით მიმდინარე წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტში 243 946 მ²-ზე დასრულდა ან მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

სიღნაღის ციხე-გალავანი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს ქალაქ სიღნაღის ციხე-გალავნის საპროექტო სამუშაოები. ჩასატარებელმა სამუშაოებმა უნდა უზრუნველყოს ძეგლის არსებული მდგომარეობის გამოსწორების აუცილებელი ყველა ასპექტი. ანაგის კარიბჭისა და ალექსანდრე გზირიშვილის ქუჩის გადაკვეთიდან, ვაქირის კარის და მაჩხანის

ბურჯის მიმართულებით, მადაროს კარის ჩათვლით. საპროექტო მონაკვეთი 1 150 მ სიგრძისაა.

მუნიციპალური განვითარების ფონდი

- **განახლებული რეგიონების** პროგრამის ფარგლებში, რეაბილიტაციის შედეგად, ქალაქ სიღნაღში, ჭავჭავაძის ქუჩაზე სრულად განახლდა ფასადები, შეიცვალა სახურავები, გარე განათების სისტემა, გზა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულებაა 4 567 220 ლარი.
- ქალაქ წნორში ახალი **სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულდა**. მოეწყო მინი ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სათამაშო დახურული დარბაზი და საგულშემატკივრო ტრიბუნა, საჭიდაო და კრივის დარბაზი, საშხაპეები, გამოსაცვლელები. სპორტული კომპლექსის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა 2 102 კვ.მ ფართობზე და მისი ღირებულებაა 2 112 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის(ების) მოსახლეობა კრებებზე თანხმდება სოფლის საჭიროებებზე და მათივე გადაწყვეტილებით ხორციელდება პროექტები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სულ განხორციელდა ან მიმდინარეობს **370 669** ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

1. სოფ. ნუკრიანის სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 36 981 ლარი.
2. სოფ. ზმ. ბოდბეში სასაფლაოს შემოღობვა 21 664 ლარი.
3. სოფ. ზემო მადაროში დარბაზის აღჭურვა სპორტული ინვენტარით 9 570 ლარი.
4. სოფ. ძვ. ანაგაში სკვერის მოწყობა 34 999 ლარი.
5. სოფ. ქვ. მაჩხაანში მიმდინარეობს სასაფლაოს შემოღობვა 17 106 ლარი.
6. სოფ. ხორნაბუჯში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა 29 370 ლარი.
7. სოფლებში: ანაგა, ვაქირი, საქობო მაშნაარი, ქვ. ბოდბე, ქვ. მალრო, ილიაწმინდა, ბოდბისხევი ჯუგაანი, ტიბაანი და ქალაქ წნორში, 13 829 მეტრზე მიმდინარეობს გარე განათების მოწყობის სამუშაოები რომლის ჯამური ღირებულებაა **207 150** ლარია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე წელს განხორციელდა 241 927 ლარის სამუშაოები.

1. სოფ. ქვ. მაღაროს საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა 103 605 ლარი.
2. სოფ. ილიაწმინდას საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა 138 322 ლარი.

სტიქია

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ სიღნაღში, ქალაქ წნორში და სოფელ ილიაწმინდაში, 2023 წლის 6 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული, 15 საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით 148 743 ლარი.

საპროექტო სამუშაოები

მიმდინარე ან განხორციელებული პროექტების გარდა საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განყოფილებამ სულ მოამზადა 16 565 815 ლარის ღირებულების სხვა და სხვადასახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

პროცესშია 2 512 607 ლარის პროექტები სამშენებლო მომსახურების შესყიდვა:

ქალაქ წნორში მესამე საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა;

ბოდბის მონასტერში არსებული წმ. ნინოს ტაძრის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ ნუკრიანში მეორე საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები;

სოფელ ხირსის სკვერში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები;

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები;

სოფელ ჯუგაანში სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები;

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველ ანაგაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები;

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ტიბაანში მუნიციპალური მნიშვნელობის სტადიონზე გასახდელელებისა და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები;

სოფელ ქვემო მაჩხაანში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები.

ამასთან, მიმდინარეობს 26 500 000 ლარის სავარაუდო ღირებულების სამუშაოების დაგეგმვა და საპროექტო დავალებების მომზადება.

სივრცითი მოწყობა, მშენებლობა, არქიტექტურა და ძეგლთა დაცვა

სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ 2023 წლის 9 თვის განმავლობაში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას სულ გაცემული აქვს 206 ნებართვა ან შეთანხმება, მათ შორის:

II და III კლასის შენობა ნაგებობებზე, 34 ნებართვა, აქედან 15 საცხოვრებელი სახლი, 3 კომერციული ობიექტი, 3 საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი, 13 სასაწყობე სამეურნეო ნაგებობა.

I კლასის შენობა-ნაგებობაზე გაცემულია 81 მშენებლობის ნებართვა,

91 კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კატეგორიის ცვლილების და დაყოფა-გაერთიანების შეთანხმება.

გაცემული მშენებლობის ნებართვებიდან შემოსულმა ადგილობრივმა მოსაკრებელმა აღნიშნულ პერიოდში სულ შეადგინა 31 609 ლარი.

საფინანსო სფერო

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და უზრუნველყოფს მის მართვასა და შესრულებას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შემოსავლების გეგმა იყო 18986.9 ათასი ლარი, საიდანაც ქონების გადასახადია 2901.7 ათასი ლარი, 9 თვეში ქონება შემოსულია 2012,7 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 69%-ით. 9 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 18 255.7 ათასი ლარი. (გეგმის შესრულება - 96,1).

სხვა შემოსავლების გეგმა იყო 655.2 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება - 814.3 ათასი ლარი, (გეგმის შესრულება 124,2%).

დღგ-ს გეგმა იყო 6899.0 ათას ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 6 898.1 ათასი ლარი, (გეგმის 100%).

შემოსავლებიდან მიზნობრივმა ტრანსფერმა შეადგინა გეგმით 476.8 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 476.8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა შეადგენდა **21328.9** ათას ლარს, **ფაქტიურმა შემოსულობამ** შეადგინა **18 499.7** ათასი ლარი, გეგმის 86,7 %.

არაფინანსური აქტივების კლების გეგმა იყო **2342.0** ათასი ლარი, **ფაქტიურად** შემოვიდა **244.0** ათასი ლარი, 10,4%.

ადგილობრივი შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოდის მიწის ქონების გადასახადის სახით, 9 თვის გეგმა შეადგენს 1498.7 ათას ლარს, **ფაქტიურად შემოსულია 258,7 ათასი ლარი, 17%.**

- კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 221,5 ათასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 15,3 ათასი ლარი.
- დანარჩენი გადასახადები მოდის საწარმოთა ქონებაზე, ბანკის %, ჯარიმა-საურავებზე, პრივატიზებასა და სხვადასხვა მოსაკრებელზე.
- რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, შრომის ანაზღაურების მუხლი 2023 წლის 9 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 2172,4 ათასი ლარი. ფაქტიურად, 9 თვეში გაიხარჯა 2052,0 ათასი ლარი, გეგმასა და ფაქტს შორის არსებული **სხვაობა გამოწვეულია ვაკანსიების არსებობით.** (12 ვაკანსია და სამი თანამშრომელი იმყოფება უფასო შვებულებაში) შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებამ 2023 წლის 9 თვეში შეადგინა 139,9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ა(ა)იპ-ების სუბსიდიებზე:

- სკოლამდელი განათლების დაფინანსება დაგეგმილი იყო 2616,8 ათასი ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 2225,5 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის გეგმა 104,4 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 74,7 ათასი ლარი;
- სსიპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ” გეგმა იყო 359,8 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 317,3 ათასი ლარი;
- სსიპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება” დაგეგმილია 329,5 ათასი ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 311,2 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი” დაგეგმილია 273,0,0 ათასი ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 208,0 ათასი ლარი;

- ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ გეგმა 566,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 366,9 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - დაგეგმილია 143,1 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 103,4 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო“ დაგეგმილია 214,4 ათასი ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 195,2 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ „კომუნალური-1“ დაგეგმილი იყო 1350,7 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 1183,9 ათასი ლარი.

2023 წლის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაგეგმილი იყო 507,5 ათასი ლარით, ფაქტიურად, 9 თვეში გაიხარჯა 481,5 ათასი ლარი - 98,2%.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯების დასაფინანსებლად ფაქტიურად გაიხარჯა 13380,5 ათასი ლარი.

2023 წლის ბიუჯეტში **პრიორიტეტი** მიენიჭა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის გზების, მინი სპორტული მოედნების, პარკების და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციას და სხვა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

ა(ა)იპ „კომუნალური-1“

ა(ა)იპ „კომუნალური-1“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს: ქუჩების, გზის პირების, საჯარო ადგილების, სკვერების, გაზონებისა და ბაღების მოვლა-პატრონობას, ტერიტორიების გამწვანებასა და დასუფთავებას.

დასუფთავების შედეგად მიღებული მასის (ნარჩენების) მოგროვება-გატანას, ქალაქებისა და სოფლების გარე განათებას, მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგებას, ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას, სანიაღვრე ცხაურების (კიუვეტების) გაწმენდა-გასუფთავებას, შადრევნებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ს გადასცა მანქანები, (სპეც ნაგავმზიდი ფორდი, 2-სპეც/ავტომანქანა ნაგავმზიდი „ივეკო“ და პიკაპი (ივეკოს), რომელიც მოემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასა და კეთილმოწყობას.

კვლავ აღსანიშნავია, პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოციალური შემწეობის მიმღებ შრომისუნარიან პირებზე ორიენტირებული **დასაქმების** პროგრამა. ა(ა)იპ „კომუნალური-1-ში“ დასაქმებულია 350 სოციალურად დაუცველი მოქალაქე, რომლებიც მათზე დაკისრებულ სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებენ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგულარულად ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:
38 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, ქალაქ წნორსა და 18 სოფელში (დასაქმებული სოც.დაუცველთა რაოდენობა 81);

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალების გვერდულების რეგულარული დასუფთავება, ჯამურად 63 კმ, (დასაქმებულთა რაოდენობა 6);

რეგულარულად იწმინდება 49 კმ.სანიაღვრე არხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, (დასაქმებული სოც. დაუცველთა რაოდენობა 32);

რეგულარულად ხორციელდება 29 სკვერის მოვლა-პატრონობა, ქ.წნორსა და 18 სოფელში, (დასაქმებული სოც.დაუცველთა რაოდენობა 36);

რეგულარულად ხორციელდება 19 მინი სტადიონის მოვლა-პატრონობა, ქ.სიღნაღში, ქ.წნორსა და 11 სოფელში, (დასაქმებული სოც. დაუცველთა რაოდენობა 18);

მერის წარმომადგენლები მათთან ერთად გეგმავენ ყოველდღიურ სამუშაო გრაფიკსა და მუდმივად ახორციელებენ შესრულებულ სამუშაოზე მონიტორინგს.

დასუფთავება

მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასუფთავების ბიუჯეტია 1 019 427 ლარი (ათვისებულია 689 737,36 ლარი).

ქალაქ სიღნაღსა და წნორში ქუჩების დასუფთავებაზე ზრუნავს 44 მეეზოვე (15 მეეზოვე წნორში, 29 - სიღნაღში).

სიღნაღი-წნორის გზის მონაკვეთს, ბოხორის გზის, კარდენახი-ლაგოდების გზის გვერდულებსა და ქიზიყის შემოსასვლელიდან კალოები-ნუკრიანი-სიღნაღის გზის მონაკვეთის გვერდულებს ასუფთავებს 19 მუშა.

19 დეკორატივი და მუშა მწვანე ნარგავებსა და გაზონებს უვლის პარკებსა და სკვერებში, მათ შორის, ქალაქ წნორის პარკის სისუფთავესა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე ზრუნავს 6 თანამშრომელი.

გარე განათება

გარე განათების ექსპლუატაციის ბიუჯეტია 132 413 ლარი, ათვისებულია 48 048,66 ლარი. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირდა გარე განათება:

1. ძვ.ანაგა - 31 სანათი; 2. წნორი - 56 სანათი; 3. ჯუგაანი - 18 სანათი, 4. ნუკრიანი - 85 სანათი; 5. ილიაწმინდა - 37; 6. საქობო-მაშნაარი - 18 სანათი; 7. ქვ.მაჩხაანი-ხირსა-ხორნაბუჯი - 29; 8. ბოდბისხევი - 40 სანათი; 9. ტიბაანი - 31 სანათი; 10. ანაგა- 14 სანათი; 11. მაღარო - 13 სანათი; 12. სიღნაღი - 19 სანათი; 13. ბოდბე - 20 სანათი; 14. ვაქირი - 26 სანათი.

სანიაღვრეები

ბიუჯეტია 30 000 ლარი, ათვისებულია 15 549 ლარი.

საკანალიზაციო სანიაღვრე სისტემების მოვლაზე 8 თანამშრომელია დასაქმებული. სუფთავდება და იწმინდება ბოდბისხევი-ჯუგაანი-ტიბაანის, წნორი-კვენაკელი-ასანურის, წნორში რუსთაველის და 9-აპრილის ქუჩის, სიღნაღის სანიაღვრე კიუვეტები, გზის გვერდულების სანიაღვრე ცხაურები.

წყალმომარაგება და ტექნიკური სამუშაოები

წყალმომარაგების ბიუჯეტია 512 332 ლარი, ათვისებულია 346 282,57 ლარი.

ამ მიმართულებით დასაქმებულია 67 ძირითადი და 3 შტატგარეშე თანამშრომელი.

მათ შორის, წყლის მარეგულირებლები, კოორდინატორები და მარეგულირებელ-დარაჯები. შექმნილია საავარიო ჯგუფი, რომლებიც მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლის ჭაბურღილებზე ასრულებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. იცვლება სხვადასხვა სიმძლავრის ელ.ტუმბოები და სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის მილები.

სოციალური და ჯანდაცვის სფერო

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას, ბავშვის უფლებების დაცვის მხარდაჭერას, მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2023 წლის 9 თვის განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური პაკეტით ისარგებლა 1 939 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 608 026 ლარი:

➤ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება -(546 ბენეფიციარი)-257 590 ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (354 ბენეფიციარი) – 57 780 ლარი;

➤ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (78 ბენეფიციარი) – 16 000 ლარი; განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (694 ბენეფიციარი) – 125 600 ლარი;

➤ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვა (7 ბენეფიციარი) – 1 050 ლარი;

➤ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა (55 ბენეფიციარი) 9 100 ლარი;

➤ მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (24 ბენეფიციარი) – 4 050 ლარი;

➤ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (2 ბენეფიციარი) 700 ლარი;

➤ ობოლი სტუდენტების დაფინანსება (11 სტუდენტი)-10 600 ლარი

➤ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (9 სტუდენტი)-8 600 ლარი.

➤ მრავალშვილიანი ოჯახებიდან სტუდენტთა დაფინანსება-(1 სტუდენტი)-800 ლარი;

სულ 21 სტუდენტი - 20 000ლ) (აღნიშნულ მუხლში მიმდინარე წელს გამოყოფილია 38 500 ლარი)

➤ ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის დახმარება (11 ოჯახი)- 23 565 ლარი;

➤ დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება (9 ოჯახი)-36 610 ლარი;

➤ დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე ყოველთვიურად გასაცემმა თანხამ შეადგინა (32 ბენეფიციარი) – 32 200 ლარი;

➤ 100 წლის უხუცესთა სოციალური დახმარება- 800 ლარი (4 მოქალაქე);

➤ მრავალშვილიან დედებისთვის სარვამარტო საჩუქარი, (94 დედა) - 9 400 ლარი;

➤ უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (8 ოჯახი)— 13 581 ლარი (აღნიშნულ მუხლში მიმდინარე წელს გამოყოფილია 18 000 ლარი)

➤ დედის დღესთან დაკავშირებული სამახსოვრო საჩუქრები 29 მარტოხელა მშობელსა და 59 მარჩენალდაკარგულ ოჯახს - 4 928 ლარი;

- სოციალური სამსახურის შუამდგომლობით, უმწეო და მზრუნველობამოკლებული ერთი ხანდაზმული, განთავსებულია მოხუცთა სადღეღამისო ცენტრში, რომელიც მერიისგან ყოველთვიურ თანადაფინანსებას იღებს 250 ლარის ოდენობით.

სოციალური აქტივობები

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ორგანიზებით, ქალაქის ცენტრალურ სკვერში მოეწყო საჯარო ხატვა. ღონისძიებაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა და სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების მოსწავლეებმა მიიღეს. ღონისძიება მიზნად ისახავდა დაუნის სინდრომის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მათი აქტიურ ცხოვრებაში ჩართვას. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

2018 წლის 26 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივი პროექტის „საქმიანობათა ცენტრი სიღნაღში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ განხორციელების მიზნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნული ორგანიზაციის თანადაფინანსებისთვის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 55 000 ლარი.

საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალში ფუნქციონირებს დღის ცენტრი ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის, სადაც 300-მა ბენეფიციარებმა ისარგებლა ცენტრში არსებული სერვისებით (სასწავლო სესიები და ლექციები, ტრენინგები, შეხვედრები, სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები და სხვა).

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სიღნაღის ფილიალი, 30 ბენეფიციარზე, ახორციელებს თემზე დაფუძნებული ბინაზე მოვლის სერვისს.

ორგანიზაციამ, აპრილში, სააღდგომო ამანათები გადასცა სოციალურად დაუცველ 60 ოჯახს.

საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალში, მუდმივად ტარდება პირველი დახმარებისა და საბაზისო კურსის ტრენინგები მოხალისეებისთვის და სხვა მსურველი მოქალაქეებისთვის. საანგარიშო პერიოდში, ბაზისური პირველი დახმარების ტრენინგი გაიარა 100-მდე მსურველმა.

ბავშვთა უფლებების დაცვა

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი განყოფილება აქტიურად ჩართულია სკოლებში, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებსა და ბავშვიან ოჯახებში, სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრასა და მოგვარებაში. ამ ეტაპზე, მიმდინარე ხუთი შემთხვევიდან (საქობო, ნუკრიანი, სიღნაღი (2), ბოდბე) ვიზიტი შედგა სამ არასრულწლოვანთან და ასევე, სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიანი ოჯახთან. ვიზიტის დროს შეფასდა ოჯახებისა და ბავშვების ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, თავისუფალ გარემოში მათი მდგომარეობა და შემუშავდა გეგმა მათთან სამუშაოდ.

ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, ქალაქ წნორში, მძიმე საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, მრავალშვილიანი ოჯახი მერიამ უზრუნველყო ბინის ქირითა და უფასო სასადილოს სერვისით, ამასთანავე, ბავშვებმა მიიღეს ჰუმანიტარული დახმარება ტანსაცმლისა და სათამაშოების სახით.

სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით, ცნობიერების ამაღლების მიზნით, იგეგმება შეხვედრები სკოლებსა და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, (ამ ეტაპზე, შეხვედრები ჩატარდა ბოდბისხევში, ძველ ანაგში, სიღნაღში, ერისიმედში, საქობოში, ნუკრიანსა და წნორში).

ბავშვებსა და ბავშვიან ოჯახებზე მორგებული სოციალური პროგრამა

ბავშვთა უფლებათა დაცვის განყოფილებამ, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვიან ოჯახებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, კვლევა ჩაატარა. სულ გამოიკითხა 61 ოჯახი.

კვლევის უმთავრესი მიზანია, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების, საჭიროებებისა და მოლოდინების გამოვლენა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისა და ბავშვიან ოჯახებზე უკეთესად მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება.

პროექტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით.

უფასო კვების სერვისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტ(ებ)ი უსასყიდლოდ ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევა და რეგისტრაცია დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება. მიმდინარე წელს უსაფო სასადილოს დაფინანსება გაიზარდა 42 400 ლარით. სერვისით სარგებლობს 205 ბენეფიციარი და მომსახურების ბიუჯეტია 287 500 ლარი.

ეკონომიკა და ქონების მართვა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ხორციელდება.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 12 ობიექტი 45 424 კვ.მ ჯამური ფართობით. აქედან 10 ობიექტი სახელმწიფომ გადასცა მუნიციპალიტეტს ჯამური ფართობით 44 894 კვ.მ. მათ შორის სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობა (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობით (კულტურის სახლი ს.კ 56.04.51.659).

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, 1 ოქტომბრამდე პრივატიზებისა და სარგებლობაში გადაცემის მიზნით გამოცხადდა 8 აუქციონი, აქედან შედგა 4. (3-ქონების პრივატიზებაზე, 1-ქონების სარგებლობით გადაცემაზე).

აუქციონის წესით პრივატიზებული ქონების ჯამურმა საფასურმა შეადგინა 17 160 ლარი.

საცხოვრებელი ფართი, იჯარა

- ▶ მერიამ შეისწავლა მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების რეგისტრაციის საკითხი, რომლებსაც არ გააჩნიათ მართლზომიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თავის დროზე არ გაცემულა, დაიკარგა ან ვერ ხდება მოძიება და რის გამოც ვერ ახერხებენ საცხოვრებელი ფართების არსებული წესით რეგისტრაციას. შესწავლილი საკითხები გადაიგზავნა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში, შემდგომში, მოსარგებლეებზე ქონების სიმბოლურ ფასად - 1 ლარად - საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.
- ▶ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასეთი პრობლემის მქონეა 53 მოსახლე (სიღნღი, წნორი, ტიბაანი, ხირსა)

- ▶ აღნიშნულ პერიოდში გაფორმდა იჯარის 1, უსასყიდლო უზუფრუქტის 4, თხოვნის 4 ხელშეკრულება.
- ▶ სოციალურად დაუცველი და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები მერიამ უზრუნველყო ქირით (შვიდი ბინა),

2023 წელს 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოქმედებდა იჯარის 38 ხელშეკრულება. აღნიშნულ პერიოდში იჯარის ქირის გადასახადის სახით შემოვიდა **79 052** ლარი. პირგასამტეხლოს სახით შემოსულია **1 560** ლარი.

შესყიდვები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 9 თვის განმავლობაში გამოცხადდა 85 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე. აქედან არ შედგა 38 ტენდერი, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეწყვეტილია 2 ტენდერი, მ.შ. 1 პროექტის კორექტირების, ხოლო 1-სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილების გამო, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3 ტენდერი (სამივე შემთხვევაში შემოსულმა პრეტენდენტებმა მიიღეს დისკვალიფიკაცია), 30 ტენდერის შედეგების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულებები. გამოცხადებული 85 ტენდერიდან 1 ოქტომბრის მდგომარეობით დასრულებული არ იყო 12.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესასყიდად განისაზღვროს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება. 2023 წლის 9 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა გააფორმა 19 ხელშეკრულება.

2023 წლის 9 თვის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით გაფორმდა 57 ხელშეკრულება. აქედან მონეტარული ზღვრების საფუძველზე გაფორმებულია 51 ხელშეკრულება, ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 1 ხელშეკრულება (დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან), სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებით - 1 ხელშეკრულება - საპროექტო, სოფლის პროგრამა, ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების საფუძველზე - 4 ხელშეკრულება.

2023 წლის 9 თვის განმავლობაში გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოხდა ცვლილებები, გაიზარდა სამუშაოს დასრულების ვადა და შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადაც.

ტურიზმი, საგარეო ურთიერთობი და საერთაშორისო პროექტები

სიღნაღის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარებისთვის, დამუშავების ბოლო ეტაპზეა ტურიზმის განვითარების გეგმა/სტრატეგია, სადაც ასახულია მუნიციპალიტეტში ტურიზმის რესურსი და პოტენციალი. განახლდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტურისტული ბიზნესის მონაცემთა ბაზები, სადაც დეტალურადაა აღწერილი განთავსების, კვების ობიექტები და სხვა ტურისტული რესურსები. სიღნაღის ტურისტულ ბიზნეს სუბიექტებს გაეწიათ დახმარება ონლაინ ტურისტულ არხებზე, (booking.com, Airbnb) რეგისტრაციასა და პრობლემების მოგვარებაში, Google რუკაზე დარეგისტრირდა 30-მდე ტურისტული ობიექტი. შემუშავდა სიღნაღის შესახებ ვიზიტორებისთვის საინტერესო ინფორმაცია, რაც გადაეცათ გიდეებს. გრძელდება მუშაობა ეროვნული არქივიდან და სხვა წყაროებიდან სიღნაღთან დაკავშირებული ინფორმაციების მოძიების, ფოტო არქივის შექმნისა და გაციფრულები მიზნით.

შეიქმნა სიღნაღის ტურისტული ვებ გვერდი visitsighnaghi.com და სოციალურ ქსელში facebook და **Instagram** გვერდი “ეწვიე სიღნაღს / visit Sighnaghi,” სადაც აქტიურად მიმდინარეობს ტურისტებისთვის საჭირო ინფორმაციის დამატება/განახლება.

ტურიზმთან და ფესტივალებთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) მიმდინარეობს თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც ტურიზმისა და სკოლამდელ სააღმზრდელო სფეროში ორგანიზაციამ გამოგზავნა მოხალისე თანამშრომლები.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი (OVOP) „ერთი სოფელი - ერთი პროდუქტი“, რომლის ფარგლებშიც, გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო ვიზიტი შედგა ყირგიზეთში. პროექტი ითვალისწინებს სოფლის უნიკალური და ნატურალური პროდუქტების ძებნას, მათი წარმოებისა და გაყიდვების ხელშეწყობას.

განყოფილება მუშაობს ევროკავშირის პროექტის, „მდგრადი ენერგეტიკის კლიმატის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, მომზადდა „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის“ სამოქმედო გეგმაზე, რომელიც წლის ბოლოს დამტკიცდება.

კულტურა, სპორტი, განათლება და ახალგაზრდული საკითხები

სამსახური ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერას, განვითარებასა და კულტურული დონის ამაღლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესებას, ახალგაზრდების გააქტიურებასა და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვას, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისებას.

წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში მერიის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას:

ღონისძიებები ქალაქ წნორში

ქალაქ წნორში, ევდოშვილის ქუჩაზე, კულტურისა და დასვენების პარკი მოეწყო. მოსახლეობის მაღალი ინტერესისა და სურვლის გათვალისწინებით პარკის ამფითეატრის სივრცემ სხვადასხვა ღონისძიებას უმასპინძლა:

- მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა „მუსიკალური საღამო“,
- „თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმისა“ და „გლობალ თეატრის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“,
- შემოქმედებითმა სტუდიამ „5+2“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, წარმოადგინა მარჯანიშვილის სახელობის თეატრალური დასის მინი სპექტაკლები „უკანასკნელი ფოთოლი“ და „მოგვთა საჩუქარი“. სპექტაკლებს შორის ჯაზბენდმა „დიქსი ლენდი“ მსმენელს მუსიკალური ნომრები წარუდგინა.
- გაიმართა დოკუმენტური ფილმის „საუკუნის პორტრეტები - გიორგი მაზნიაშვილი“ ჩვენება,
- მუნიციპალიტეტის პროფესიულმა ანსამბლებმა „ლაშქრული“ და „ათინათი“ წარმოადგინა ქორეოგრაფიული ნომრები,
- ახმეტელის თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ჰელადოს“

„ჰელადოსი“ გაიმართა ქვემო მაჩხაანის თეატრის სცენაზე. ფაქტი განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან ჯერ კიდევ 1899 წელს სწორედ მაჩხაანის მოსახლეობის ინიციატივითა და ძალისხმევით აშენდა თეატრი, რომელიც XIX საუკუნეში ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. 1906 წელს თეატრში პირველი

სპექტაკლი „სამშობლო“ ჯერ კიდევ სტუდენტმა, სანდრო ახმეტელმა დადგა. ვინაიდან მუნიციპალიტეტს აქვს ამ კუთხით ძალიან დიდი პოტენციალი, გვაქვს რწმენა, რომ მაჩხაანის თეატრის გამოცოცხლება ასეთი აქტივობებით იქნება ჩვენი კულტურული და შემოქმედებითი ტრადიციების როგორც აღდგენის, ასევე განვითარების დასაწყისი.

ღონისძიებები ქალაქ სიღნაღში

29 ივლისს ქალაქ სიღნაღში, ტრადიციად ქცეული, ზფხულის ღამის ფესტივალი გაიმართა. სტუმრად მოსულ მაცურებელს სიღნაღში ცნობილი მუსიკოსები: ზაზა მარჯანიშვილი, რომა რცხილაძე, „ნალი ბენდი“ და „ბენდი +995“ დახვდათ. ფესტივალის პარალელურად ღვინისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

8 მარტი - ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებში მერიის სტრუქტურაში დასაქმებულ ქალბატონებს სამახსოვროდ ყვავილები გადაეცათ,

14 აპრილი - დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ანბანის ასოებითა და ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ბავშვებმა მსვლელობა მოეწიეს ქალაქ სიღნაღის ქუჩებში,

18 მაისი - სიღნაღის მუნიციპალიტეტში აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ათინათმა“ სიღნაღის გალავანთან მოაწყო მსვლელობა და შეასრულა ქორეოგრაფიული ნომრები,

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ამ დღით ქალაქში იფინება საქართველოს დროშები, იმართება სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა აქტივობები,

28 მაისი - თეატრის სცენაზე გაიმართა ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც კონსერვატორიდან ჩამოსულმა საოპერო მომღერლებმა შეასრულეს არიები, სიღნაღის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კი გააცოცხლეს სცენები მგოსნის ცხოვრებიდან.

მუნიციპალიტეტში **გმირების** სხოვნისადმი მიძღვნილი დღეები (9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი) განსაკუთრებული პატივით აღინიშნება მემორიალებთან.

- კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ელისო ბოლქვაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები სახელოვნებო განათლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, პედაგოგ-მასწავლებლებს სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით შეხვდნენ და კომიტეტის ხედვა

გააცნეს, რომლის განხორციელება, საქართველოს მასშტაბით, მომავალი წლიდან იგეგმება.

- იაპონიის საელჩოს, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს ორგანიზებით, ოქტომბერში, სიღნაღში ცნობილი იაპონელი მომღერლის, ტოკიკო კატოს კონცერტის გაიმართა. მან სიღნაღელი მსმენელის წინაშე მსოფლიო ჰიტებს შორის ქართული „სულიკო“ და „თბილისო“ შეასრულა, რამაც დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია.

სიღნაღის თეატრალური ფესტივალი

წელს პირველად სიღნაღმა „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს“ უმასპინძლა, სადაც მონაწილეობდნენ სახალხო თეატრები და კერძო სამოყვარულო დასები. ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილის ინიციატივით და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაარსდა. ფესტივალის ფარგლებში, სამი კრიტიკოსისა და ორი რეჟისორისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული თეატრები. გამარჯვებულ სპექტაკლებს გადაეცათ ფულადი პრემია და კომპანია „ზარაფხანას“ მიერ სპეციალურად ფესტივალისთვის დამზადებული ჯილდოები. სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს ხელმძღვანელობდა სამხატვრო რეჟისორი **საბა ასლამაზიშვილი**.

ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი**, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით სონღულაშვილი**, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ალადაშვილი**, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და თეატრალური სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

საკონკურსო პროგრამის გარდა, ერთი კვირის განმავლობაში გაიმართა მასტერკლასები და საჯარო ლექციები. ფესტივალი 3 ივნისს ქალაქ სიღნაღში გაიხსნა და 10 ივნისს გამარჯვებულების გამოვლენით დასრულდა.

ფესტივალის მიზანია სახალხო თეატრებისა და სამოყვარულო დასების პოპულარიზაცია, მათი განვითარება და ინტეგრირება, როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო თეატრალურ სივრცეში.

სხვა ფესტივალები

- 23-24-25 მაისს ქალაქ სიღნაღის თეატრში „ბავშვთა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქიზიყი-2023“ გაიმართა. ფესტივალზე სხვადასხვა ნომინაციები იყო დაწესებული, რომელიც მოწვეულმა სტუმრებმა რეჟისორებს და ფესტივალის მონაწილეებს საზეიმოდ გადასცეს. ბავშვთა თეატრალური ფესტივალი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში 12 თეატრალური დასი იღებდა მონაწილეობას. ღონისძიება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის და ააიპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ორგანიზებით მრავალი წელია ტარდება.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით პროფესიული ანსამბლი „ლაშქრული“ ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდა. ფესტივალი საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ელისო ბოლქვაძის და UNESCO-ს მხარდაჭერით გაიმართა.

ახალგაზრდობა

- სიღნაღში შეიქმნა დებატების კლუბი, რომლის მიზანია ახალგაზრდებსა და ზრდასრულებში გამართული და დასაბუთებული მსჯელობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა.
- ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა სასკოლო ჩემპიონატი, რომელშიც მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას, ფინალი ჩატარდება მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ ნახევარში.
- ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა?,სად? როდის?“, რომელშიც ჩართული იყო 14 საჯარო სკოლის გუნდი, საგაზაფხულო სერიაში ხუთი თამაში შედგა. ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვა სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის გუნდმა „White Tigers““. ამ ეტაპზე, ინტელექტუალური თამაშის საშემოდგომო სერია მიმდინარეობს.
- გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ერთობლივი ორგანიზებით, ახალგაზრდებისთვის საბაზისო სალაშქრო-სამხედრო მომზადების კურსი ჩატარდა, რომლის გავლის შედეგადაც ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინეს.

განათლება

- 2023 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტში 57 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებულია. მუნიციპალიტეტმა სკოლის წარმატებით დასრულებისთვის მათ ფულადი ჯილდო გადასცა. საზეიმო ღონისძიება კი, თელავში, ერეკლე მეფის სასახლის ეზოში გაიმართა კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის კურსდამთავრებულთათვის.
- წელს დაარსდა ნომინაცია, „წლის საუკეთესო მასწავლებელი,“ რომელიც ყოველ წელს საუკეთესო პედაგოგებს გამოავლენს. წლებანდელ ღონისძიებაზე წლის საუკეთესო მასწავლებლად, სამუსიკო სახელოვნებო სკოლების გაეთიანების 6 და საჯარო სკოლების 22 პედაგოგი დასახელდა. ისინი მადლობის სიგელითა და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდნენ.

სპორტი

- ▶ მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონები შოთა ბეჟაშვილი და ცოტნე ბეჟაშვილი, აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, კლასიკურ წოლჭიმში (ღია კატეგორია) მსოფლიო ჩემპიონი ცოტნე ბეჟაშვილი გახდა. აღსანიშნავია, რომ **30 წლის** შემდეგ ცოტნე ბეჟაშვილმა პირველმა შეძლო **გაემეორებინა** მისივე მასწავლებლის, ლეგენდარული შოთა ბეჟაშვილის შედეგი.
- 1 ივლისს ქალაქ სიღნაღში პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონის, შოთა ბეჟაშვილის სახელობის **ტრადიციული** ტურნირი წოლჭიმში გაიმართა, შეჯიბრი ყველა წონით და ასაკობრივ კატეგორიაში IPF-ის საერთაშორისო წესებით ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს 45 საუკეთესო სპორტსმენი და სხვადასხვა გუნდები. შეჯიბრი ასაკის შეუზღუდავად სხვადასხვა წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ სიღნაღელმა სპორტსმენმა, მსოფლიო ჩემპიონმა ჯიმი ნანდოშვილმა 83კგ. წონით კატეგორიაში 187 კგ ასწია და მსოფლიო რეკორდს 1,5კგ-ით გადააჭარბა.
- საქართველოს პროფესიონალური კრივის კავშირისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით ქალაქ წნორში **საკრივო შოუ** გაიმართა. შეჯიბრი სოციალური ქსელი youtube.com-ის არხით გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში და მას ათასობით მაყურებელი ჰყავდა. სულ გაიმართა 12 ორთაბრძოლა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს გამორჩეულმა პროფესიონალმა მოკრივეებმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქების კრივის კლუბებიდან. მათ შორის, კრივის საღამოს მთავარ დაპირისპირებებში მეტოქეთა წინააღმდეგ რინგზე გავიდნენ სიღნაღის საბრძოლო ხელოვნების,

კლუბ „მგლები“ (მთავარი მწვრთნელი მიხეილ ბაკაშვილი) მებრძოლენი. ღონისძიებას WBC -სა (მსოფლიო კრივის საბჭო) და EBU-ს (ევროპის კრივის კავშირი) მიერ სერტიფიცირებულ მსაჯთა ბრიგადა გიორგი კობახიძის, გელა სხირტლაძის, დავით ნაზარაშვილის, მერაბ მაისურაძის, თამაზ ქართველიშვილისა და არსენა ყარაგვეზაშვილის შემადგენლობით მოემსახურა. ღონისძიებას საქართველოს პროფესიონალური კრივის კავშირის პრეზიდენტი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი კანდელაკი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი რამაზ ფალიანი, საქართველოს პროფესიონალური კრივის კავშირის ვიცე-პრეზიდენტები ვაჟა კვეზერელი, ლევან ხიტირი და ლელა აღუაშვილი, გენერალური მდივანი ხათუნა არონიშიძე, პროფესიონალური კრივის კავშირის მთავარი მწვრთნელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მინდია ნოზაძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. საკრივო შოუს ცნობილი შოუმენი და მსოფლიო კლასის ილუზიონისტი გია ფარადაშვილი უძღვებოდა.

- რაგბის პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მიმდინარე წელს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის თაოსნობით, სოფელ ნუკრიანში, კახეთის ზონის პირველობა - „ქიზიყის ფარი“ ჩატარდა. (2010-2011 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის). გამარჯვებული გუნდები შესაბამისი თასებით და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.
- საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სიღნაღში ფეინთბოლის ჩემპიონატი გაიმართა, შეჯიბში 40 ახალგაზრდისგან შემდგარი 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას, მათგან გამარჯვება სოფელ ტიბაანის გუნდმა „რისხვამ“ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული გუნდი შემოდგომაზე დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.
- სოფელ მადაროს ახალ სპორტულ დარბაზში ძიუდოში მუნიციპალური პირველობა გაიმართა. ტურნირში ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის სოფელ მადაროს, ბოდბის, ჯუგაანის და ქალაქ წნორის ძიუდოს სექციის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. პირველი გუნდური ადგილი წნორის ძიუდოს სექციამ, მეორე - მადარო-ბოდბის სექციამ, ხოლო, მესამე გუნდური ადგილი - ტიბაანის ძიუდოს სექციამ დაიკავა.
- ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, გოგონათა შორის ძიუდოში მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდა გოგონებმა, ანი გულდამაშვილმა და მაკა ბოლღაშვილმა, წარმატებით იასპარეხეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ „წარმატებული სპორტსმენის ფარგლებში“ ფარგლებში ფულადი ჯილდო გადასცა წარმატებულ ახალგაზრდა სპორტსმენებს კიკბოსქნგში და ძიუდოში.

იურიდიული სფერო

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება 2023 წლის 01 იანვრიდან უზრუნველყოფს მერის, მერის მოადგილის, მერიის სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და თანამშრომლების, მერის წარმომადგენლების სამართლებრივი მომსახურება - კონკულტირებას საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში. სამსახურმა ამ პერიოდში მოამზადა 135 კორესპონდენციაზე პასუხი, მერის ბრძანების 105 პროექტი: კომისიისა და სამუშაო ჯგუფების შექმნის და მასში ცვლილებების შეტანის, თანამშრომელთა საწვავით უზრუნველყოფის, ფინანსური აუდიტის ჩატარების, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, საგაზაფხულო კომისიის შექმნის, რეზერვისტების რეზერვში ჩარიცხვის, პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, გასცა 36 საჯარო ინფორმაცია „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მონაწილეობა მიიღეს მერიის კომისიების მუშაობაში (სატენდერო კომისია, საპრივატიზაციო კომისია, სააუქციონო კომისია, მაღალმთიან საკითხებზე მომუშავე საბჭოს მუშაობაში), შეადგინეს კომისიის ოქმები. მიიღეს მონაწილეობა სასამართლოში სასამართლოს სხდომებზე. ამ ეტაპზე შემოსულია სამი სამოქალაქო სარჩელი სიღნაღის რაიონული სასამართლოდან: 1. თებრო ჩითინაშვილის სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც ითხოვს სიღნაღის რაიონის გმგეობის 2008 წლის ხელშეკრულების გაუქმებას და კუთვნილი ქონების დაბრუნებას (სოფელ ჯუგანაში მდებარე ყოფილი სამავშვო ბაღის შენობა); შპს „ფარაონის“ ორი სამოქალაქო სარჩელი შეწყვეტილი ხელშეკრულებების (98-ე და 107-ე) კანონიერების შესახებ.

განიხილვამია ორი ადმინისტრაციული საჩივარი (ნათელა ჯიბლაშვილის საჩივარი, რომელიც ეხება ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ გაცემულ მითითებას უნებართვოდ აშენებული კიბის უჯრედის ტემონტაჟის შესახებ ქ. წნორში) და ალექსანდრე ჩერქეზიშვილის საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

იურიდიულმა სამსახურმა ასევე მოამზადა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების (დადგენილების და განკარგულებების) პროექტები:

“სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილებისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის (პროგრამული კოდი 06.02.08) განხორციელების შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთ წლიანი (2023-2027 წ.წ.) გეგმის დამტკიცების შესახებ“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ბოლო ორი ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იურიდიულ სამსახურში განხორციელდა რეორგანიზაცია, კერძოდ: ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება გაიყო ორ განყოფილებად: ზედამხედველობის განყოფილებად და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილებად.

ზედამხედველობა

- ▶ 2023 წლის პირველი აპრილიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდეგაც სასამართლოს გარეშე მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებს მიეცათ უფლებამოსილება აღნიშნული კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მყისიერად მოახდინონ რეაგირება და ადგილზე დაჯარიმება, რაც ცვლილებამდე შეუძლებელი იყო.
- ▶ ცვლილების განხორციელებამდე ზედამხედველობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209 და 239-ე მუხლის მე-14 ნაწილი) ადგენდა სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც იგზავნებოდა სასამართლოში განსახილველად და ამავე კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად სასამართლო განიხილავდა და იღებდა გადაწყვეტილებას.
- ▶ ცვლილების თანახმად, ზედამხედველობას გაუჩნდა შესაძლებლობა, რომ თუ ვერ ხდება პირის იდენტიფიცირება, მიმართოს ან ადგილზე გამოიძახოს შსს შესაბამისი ორგანოები და მოახდინოს ადგილზე სავარაუდო სამართალდამრღვევის იდენტიფიცირება.
- ▶ ცვლილება შევიდა ასევე, სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში და ამ კოდექსის შესაბამისად გამოცემულ მთავრობის დადგენილებებში, რომლის თანახმად გამკაცრდა სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმები.
- ▶ ზედამხედველობას ამ ცვლილებით მიეცა უფლება შეაჩეროს მიმდინარე უნებართვო მშენებლობა ან დემონტაჟის შესახებ გამოსცეს ბრძანება მიმდინარე უნებართვო მშენებლობაზე.
- ▶ მკაცრად მოითხოვება ამ ცვლილების შემდეგ საეტაპო ოქმების წარმოდგენა (გარდა პირველი კლასის მშენებლობისა).
- ▶ გამკაცრდა, ასევე, ექსპლუატაციაში მიღების წესები.

ზედამხედველობის განყოფილება დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს: სამსახურის სპეციალისტებმა შეისწავლეს და მოახდინეს შესაბამისი რეაგირება მოქალაქეთა განცხადებებსა და სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ წერილებზე, ახორციელებდნენ კონტროლს მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე. კოორდინირებულად მუშაობდნენ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად.

ახდენდნენ რეაგირებას ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ნარჩენების მართვის კოდექსების დარღვევის ფაქტებზე. სამსახურის თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები სახელმწიფო მიწის უნებართვო დაკავებისთვის, საზოგადოებრივი სივრცის თვითნებურად შეზღუდვისთვის და სხვა დარღვევებისთვის (სამშენებლო სამართალდარღვევებისთვის გადახდილია სულ **10 500** ლარი, ხოლო სხვა დარღვევებისთვის - **3 500** ლარი). ასევე შედგენილია სამართალდარღვევის ოქმები, რომელთაგან ერთი გასაჩივრდა სასამართლოში და საქმეზე ჯერ არ ჩატარებულა სხდომა, ხოლო ორ სამართალდამრღვევს აქვს ჯერ კიდევ ჯარიმის გადახდისთვის ვადა.

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნილია ორი საქმე იძულებით აღსასრულებლად.

ზედამხედველობის განყოფილების თანამშრომლების მიერ მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში 13 ობიექტი.

მოწესრიგდა ქალაქ წნორში და ქალაქ სიღნაღში გარე ვაჭრობის საკითხები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ კუთხით სიტუაციის შესწავლა და მონიტორინგი. აღმოიფხვრა ასევე ღამის საათებში ხმაურის და პიროტექნიკის გამოყენების წესების დარღვევის საკითხები.

ცვლილებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში

- ▶ გარემოს დაბინძურებისთვის, ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, დაჯარიმდა 3 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი;
- ▶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებურად შეზღუდვისთვის დაჯარიმდა 1 ფიზიკური პირი;
- ▶ სახელმწიფო მიწის უნებართვოდ დაკავებისთვის დაჯარიმდა 4 ფიზიკური პირი;
- ▶ უნებართვო მშენებლობისთვის მითითება ჩაბარდა 2 ფიზიკურ პირს;
- ▶ უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმდა 7 ფიზიკური პირი;
- ▶ სანებართვო პირობების დარღვევისთვის დაჯარიმდა 1 ფიზიკური და 3 იურიდიული პირი;
- ▶ სამართალდარღვევის ჯარიმის საერთო თანხა **16 750** ლარია.

საზოგადოებრივი ადგილების თვითნებურად შეზღუდვის და ქალაქის იერსახის დამახინჯებისთვის ქალაქ წნორში გაფრთხილების ხელწერილი ჩაბარდა 23 ფიზიკურ პირს, ხოლო ქალაქ სიღნაღში 19-ს.

ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება - ფაქტიურად მუშაობას შეუდგა 2023 წლის 02 ოქტომბრიდან.

მიმდინარეობს ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სისტემატიზაცია იურიდიულ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით.

აღნიშნული განყოფილება თავის უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს :

- ✓ მოსაკრებელს დაქვემდებარებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირებასა და კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ ადგილობრივ მოსაკრებლებს დაქვემდებარებული სუბიექტების აღრიცხვის მიზნით შესაბამისი აქტებისა და დოკუმენტაციის შედგენას;
- ✓ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირებას ადგილობრივი მოსაკრებლის გადაუხდელობაზე ან/და დაგვიანებით გადახდაზე;
- ✓ სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;
- ✓ კონტროლის განხორციელებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებზე, რომლებიც ვალდებული არიან ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადონ ადგილობრივი მოსაკრებელი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სამხედრო აღრიცხვა, გაწვევა და მობილიზაცია

2023 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 2006 წელს დაბადებული 131 ჭაბუკი.

2023 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარიგდა 24 შეტყობინება. კომისიამ შეარჩია 10 წვევამდელი, აქედან 5 ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში, 1 წვევამდელი გაიგზავნა გამოკვლევაზე, 3 წვევამდელი გახდა შეზღუდულად ვარგისი. 234 წვევამდელი მიეკუთვნა კატეგორიას, რომლებსაც კანონით არ ეკუთვნოდათ სავალდებულო სამსახურში გაწვევა, მათ შორის, დედისერთები, დაჯახებულები, სტუდენტები, ისინი, ვინც გადაიხადა მოსაკრებელი 2000 ლარი და მიეცათ გადავადება.

სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 67 რეზერვისტი, რომლებსაც შეუსრულდა 27 წელი.

33 წვევამდელს მიეცა დროებითი სამხედრო მოწმობა (სამხედრო ბილეთის შემცვლელი).

126 წვევამდელზე გაიცა წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

2023 წელს სამხედრო აღრიცხვაზე ავიდა ჯარიდან დათხოვნილი 35 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 10 რეზერვისტი.

შიდა აუდიტი

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას. სამსახური საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კანონიერების, გამჭვირვალობის, საჯაროობისა და სამართლიანობის პრინციპებით, ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 5 შესაბამისობის აუდიტი, ამჟამად მიმდინარეობს ეფექტიანობის აუდიტი. შემოწმებულ 5 ობიექტზე გაცემულია 29 რეკომენდაცია.

მიმდინარე წელს შიდა აუდიტის სამსახურმა ექვს ობიექტზე განახორციელა გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა გარე აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!